№ 184 აგვისტო 29, ხუთშაბათი 1891 აგვისტო 29, ხუთშაბათი № 184

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, ეუკიანში, ავშბალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულის სახლებში; წერა-კითხვის გამამარცელებელ საზოგადოების განცყლიარიას, სათავად-აზნაურთ ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲐ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ რედაქცია იმეოფება, გაიძართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფულ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲡ ᲡᲐᲡᲢᲐᲛᲑᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე

ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲖᲔᲓ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲗ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** მთავარ-მართებელი კავკასიისა გენერალ-ადუტანტი ს. ა-ძე შერემეტევი 25 ამ თვეს ბათუმს მისულა და „ფრანკია“-ს სასტუმროში ჩამომხდარა.

*** მთავარ-მართებელის კანცელარია კოჯორიდგან ტფილისს დაბრუნდა.

*** ჩვენის საბჭოს კრებები ენკენისთვის შუა რიცხვებში დაიწყებაო, ამბობენ.

*** 1-ლ კლასკურ გიმნაზიის დირექტორი ლ. ლ-ძე მარკოვი სამხრეთ რუსეთისაკენ გამგზავრებულა.

*** ამ მოკლე ხანში მთავრობის მიერ ამორჩეული იქნება კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს და შეამუშაოს რკინის გზებსა და გემებზედ მოგზაურთა სიცოცხლის დაზღვევის საქმე. ეს დაზღვევა სავალდებულოდ უნდათ გაჰხადონ ყველა მოგზაურისათვის.

*** სამოსამართლო უწყების მინისტრს ახალი პროექტი წარუდგენია სახელმწიფო საბჭოსათვის იმის შესახებ, რომ სხვისის ქონების გამფლანგველსა და მომტაცებელსა ეხლანდელის კანონით ძლიერ მცირე სასჯელი აქვს დანიშნული და ეს სასჯელი უნდა უფრო გავასტიკოთო.

*** როგორც შევიტყეთ, ქართულ დრამატიულ დასის წარმოდგენები დაიწყება სექტემბრის ნახევარსრიცხვებში. პირველად წარმოდგენილი იქნება „Бѣдная невѣста“ ოსტროვსკისა, ქართულად გადმოთარგმილი ბ-ნ ავალიშვილის მიერ. წარმოდგენა თვეში ხუთჯერ იქნება. ამას გარდა, წრეულს ყმაწვილ-კაცებიც მიიღებენ მონაწილეობას, ახლად შესულნი დასში. დრამატიულს კომიტეტს, როგორც გვითხრეს, განზრახვა აქვს, ქ-ნი ძნელაძისაც მოიწვიოს საწრეულო სეზონისათვის.

*** გუშინ დილით, ამ თვის 28-ს, კავკასიის რკინის გზის დილის მატარებელით ტფილისზე გაიარა ბაქოდგან მომავალმა ექვსმა ებრაელთა ოჯახმა, რომელნიც არგენტინის რესპუბლიკაში მიემგზავრებიან ბარონ ჰირშის ხარჯით. ორი ოჯახობა იმიერ-კასპიის მხრიდგან მოდის და დანარჩენი კავკასიის სხვა-და-სხვა ალგიდგან.

*** როგორც შევიტყეთ, პატივცემულმა გრ. გურიელმა ამ მოკლე ხანში ერთის ქართველს მაჰმადიანს დახმარება აღმოუჩინა თურმე და უნდა ეს მაჰმადიანი თავისის ცოლ-შვილით ოსმალეთიდგან გადმოასახლოს. ამ კაცის ცოლ-შვილი ამ ერთის წლის წინად ოსმალეთში გადასახლებულა—ქართველ ნათესავების სანახავად წასულა. ნათესავები დახოცილან და ეს ოჯახიც შეუძლებლობის გამო თავისს სამშობლოში ვეღარ დაბრუნებულა. იმავ გრ. გურიელმა იკისრა ერთის ქართველ მაჰმადიანის, ხუშტარ-აღჯაშვილის, თავისის ხარჯით გამოზრდა. ყმაწვილს წელს მიაბარებენ ერთ-ერთს სასწავლებელში.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ფეხით რუსეთიდგან რამდენიმე ებრეკაცი, რომელნიც სიმშილის გამო გადმოსახლებულან საქართველოში სამუშაოდ. ამ ებრეებს თავიანთი ცოლ-შვილი კავკაკვში დაუტოვებიათ, რადგანაც კავკასიის გზა ჯერ არ არის შეკეთებული, და თითონ ფეხით წამოსულან.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის ქსენონი, რომელიც დღევანდლამდე სახელმწიფო ხარჯით ინახებოდა, მომავალ წლის პირველ იანვრიდგან ერობის ხელში გადადის.

*** გუშინ, ამ თვის 18 ქალაქის მმართველობის გამგეობამ რამდენსამე სახლში მილის წყალის ძღვა მოუსპო, რადგანაც ავჭალის წყალი ყველას არა ჰყოფნის. ამ თვის 27 ქალაქის თავი არლუთინსკი-დოლგორუკი ქალაქის მილის წყლის ინჟენერის ბ-ნ ენფიანჯიანცითურთ ავჭალაში გაემგზავრა წყაროების დასათვალიერებლად.

*** სპარსეთის ელჩი მირზა-რიზა-ხანი გუშინ-წინ ტფილისში დაბრუნდა.

*** ჩვენ მოგვივიდა სიღნაღიდგან ქართულის წიგნის მაღაზიის მიერ ხელის-მოწერით შეკრებილი განსვენებულ პოეტის ნ. ბარათაშვილის ფონდის სასარგებლოდ 19 მან. ამ ფონდისა დღევანდლამდე გვქონდა 186 მან. 26 კაპ., ამითნად შესდგა 205 მან, 26 კაპ. შემომწირველთა სიას შემდეგში დავბეჭდავთ.

*** ქალაქის გამგეობას დამზადებული აქვს საბჭოსათვის მოხსენება ყვავილითა დახუნაგით ავადმყოფებისათვის ცალკე სადგომის აგების შესახებ. სადგომის გამართვა ნავთლულში უნდა ქალაქს, იმადგილს, სადაც ამ ჟამად ქალების სასიფილიტიკო სადგომია. გუშინ-წინ ქალაქის თავმა საჩქაროდ მოსთხოვა ქალაქის ინჟენერს იმის ანგარიში, თუ რამდენი დაჯდება ამ შენობის აგება და როგორის გეგმით უნდა აშენდესო.

სადგომი ოთხის ოთახისა 30-ის კაცისათვის იქნება.

*** იმავ ინჟენერს თავ. არლუთინსკის საჩქაროდ მოსთხოვა მეორე სადგომის აშენების ანგარიში—სადეზინფექციო სადგომისა, რომელიც იქვე, ნავთლულში, უნდა ქალაქს ააგოს.

*** რაც საშესაღავათო ბილეთები შემოიღეს, დიდ-ძალი ხალხი დადის ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებლით აქეთ-იქით მასწავლებელნი, მოსწავლენი და სხვ., მაგრამ რკინის გზის მმართველობა-კი ყურსაც არ იბერტყავს და არა სცდილობს, მოგზაურობა გაუადვილოს ხალხს. ისეა გატიკნული და გავსებული ვაგონები მოგზაურებით, რომ ნემსი არ ჩავარდება, მომეტებული ფეხზედა სდგას და ვინცა ჭნის და ალაგი დაუჭერია როგორმე, იმასაც კარგი დღე არ ადგია: ისეთი ჭედვაა, რომ ერთმანეთს ზედ ასხდებიან, ვაგონში ადამიანს თავისუფლად ვეღარ ამოუსუნთქია და გარედ, ბაქანზედ, გამორბის თავ-მოგლეჯილი. ნუ თუ ასეთს გაჭირვებულს მდგმარეობას მოგზაურებისას წამალი არა დაედებარა და ამ ჭირს ბოლო არ მოეღება! ვითომ რა ძნელია, რომ ორიოდე ვაგონი კიდევ მიუმატონ და ხალხს თავისუფლად მოძრაობის საშუალება მისცენ?!

*** ჩვენ მოგვივიდა პატარა, ადვილად სახმარებელი სომხურ-რუსული ლექსიკონი, შედგენილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ნასტუდენტარის კარაპეტ იაღბულიანის რედაქციით. ეს წიგნი გამოუციათ პეტერბურგის ქართველსა ტ სომეხს სტუდენტებს, რომელთაც ქართულადა აქვთ გამოცემული: „ჟანნა დ'არკი“,

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲮᲔᲝᲜᲗᲐ

(მგზავრის შენიშვნები)

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 183)

დ. ონიდგან სოფ. უწერამდე 13 ვერსის მანძილია. ამ სოფელში გახლავთ მეავე წყლები და რკინის წყლის ადნარები. ონიდგან უწერამდე გზა კიდევ უფრო საშიში და უვარგისია. მისი ბედი და უბედობა დამოკიდებულია მთებიდგან წამოსულს საშინელს ნიაღვარზედ. ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ ჩვენის მოსვლის წინა დღეს გაეფუჭებინა ნიაღვარს გზები და სამი ხიდი წაეღო, ასე რომ უგზობის გამო ეტლი ონში დავტოვეთ და ჩვენ-კი ბევრის ვაივაგლახის შემდეგ ცხენებით წავედით სოფ. უწერამდე. საღამოს 5 საათი იქნებოდა, რომ მივაღწიეთ იმ ადგილამდე, სადაც ვესწრაფებოდით მისვლას—უწერის აგარაკში, სადაც მოაგარაკენი დატუსაღებულებსავით გამოიკეტებოდნენ თავ-თავიანთ ქოხებიდგან და რაღაც ნაღვლიანი და უმაყოფილების ბეჭედი აჯდა ყველას სახეზედ. უწერის აგარაკის პირველმა შეხედვამ არც ჩვენ გვასიამოვნა და რაღაც ეჭვის თვალით გადავხედე სახლებს, რომელშიაც ერთი თვე უსათუოდ უნდა გამეტარებინა...

წარმოიდგინეთ მდ. რიონის პირას ერთი ვიწრო ქალა, რომელიც თოთქმის ოთხივ მხრით შემოზღუდულია მაღალის, უზარმაზარის მთაგორებით. ამ ქალის ცოტა მაღლობს ადგილას, მერცხლის ბუდის მსგავსად მიდგმულია ხის ქოხები, წინ ორი თუ სამი მამაპაპური მოხუცებული ცაცხვი სდგას და იმათს სასიამოვნო ჩრდილში მეთორმეტე საუკუნეში აგებული ქვითკირის ეკკლესიაა თავისის სასაფლაოთი. აი მთელი სურათი უწერის აგარაკისა.

უწერაში ყოველ წლივ ბევრი ხალხი დაიარება, განსაკუთრებით ქვემოიმერეთიდგან, თუმცა ბევრი ნაკლულევანება აქვს აქ ცხოვრებას. პირველი და უკანასკნელი მოაგარაკეობათვის ბინა, სასმელ-საჭმელი და წმინდა ჰაერია საჭირო. აქ ბევრი მარტო ჰაერისთვის ირის მოსული. აბა თითოეული ამ სამ საგანთაგანი ცალკ-ცალკე განვიხილოთ, რამდენად აკმაყოფილებს ამ აგარაკში მოსულს ავადმყოფებს: ა) აქაური სახლები ხისაა და ისეთს ადგილას არის დადგმული, რომ მთელი ნიადაგი გაჟღენთილია წყლითა და ჯამბით; ზოგიერთს სახლს თითქმის მთელი კედლები მიწაში აქვს დამალული და ისეთი სინოტივეა ოთახებში, რომ მცხოვრებნი ყოველ დღე დილ-დილაობით ერთმანეთს თავის ტკივილსა, პირის სიმწარესა და სხ. შეკვრიდიან; ბ) ამ სახლებს ისეთი ბუხრები აქვს, რომ როგორც ცეცხლს დანთებთ, მთელი ბუხარში წასასვლელი კვამლი სულ ოთახში გამოდის და თავლებს ცრემლებით უვსებს ადამიანს. ცეცხლის დანთება-კი საჭიროა, როგორც სიცივის გამო, ისე საჭმელების გასაკეთებლად, რადგან არც ერთს სახლს სამზარეულო არა აქვს მიდგმული. აი, ასეთი ქოხი ღირს თთვეში ერთის თუმნიდგან ოც მანეთამდე; გ) სახლები ისეა ერთმანეთში არეულ-დარეული, როგორც დომხალი. ერთის ოჯახის ფეხის-ადგილი პირდაპირ მეორე ოჯახის მოაჯირის წინა სდგას და ამ გვარად უადგილო-ადგილას ფეხის-ადგილების გამო საძაგელი სიმყრალე და გაფუჭებული ჰაერია მთელს არე-მარეში; დ) ამასთან იქვე სასაფლაოა, სადაც, ჩვენს იქ მისვლამდე ვიღაც ქუთაისელი რუსი დაესაფლავებინათ და რადგან საფლავი ღრმად არ გაეჭრათ, ისეთი სიმყრალე და საძაგელი სუნი იდგა ეკკლესიის გალავანში, რომ სულთქმა გვიძნელდებოდა; ე) ერთად-ერთი ადგილი იყო ცაცხვებს ქვეშ, სადაც მუდამ ოთახებში ყოფნით დაწუხებულნი წმინდა და გრილის ჰაერით სიამოვნებისთვის ვსხდებოდით და იქაც გვერდზედ ფეხის-ადგილები ჩაუდგამთ და ჰაერი მოუშხამავთ; ვ) სასმელ-საჭმელი თუმცა დიდის გაჭირვებით იშოვება, მაგრამ ისეთი სიძვირეა ყოველთვის, რომ ჭამა გიძნელდებათ. დღეს ოყა ხორცი აქ ექვსი შაურია და მოხარშვა-კი ერთი აბაზი, ასე რომ ოყა ხორცი მოხარშული ათი შაურია; ზ) ვისაც აქეთ წამოსვლა უნდა, უსათუოდ საკუთარი გოგო და ბიჭი უნდა წამოიყვანოს, თორემ აქ 15 მანეთად ერთს პატარა ბიჭსაც ვერ იშოვნით, ისე გაეშაკებული და გასუნაგებულია აქაური ხალხი.

ბოთლი რძე ერთი აბაზია, ყოველგვარი ხორაგეულობა ძვირია და თუ ერთი დაგიფასათ, ის არის, მეორედ ნუ შეიწყენთ თავს და ნუ შეევეჭრებით, თორემ მოგიბრუნდებათ და უზრდელად, თითქმის წყრომით მოგახსენებთ, რას მასხარობ, თუ არ გინდა, თავი დანებეო. აქაურს ხალხში სიტყვებს: წაბრძანდი, მობრძანდი, მიირთვი, დიაღ, ბატონო და სხვ. სულ ვერ გავიგონებთ. მათ ჯერ არ იციან, რა არის ზრდილობა და უფროს-უმცროსობა. აქაური მოაგარაკე ისეთს მდგომარეობაშია, რომ თითო პური მანეთად რომ დაეფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „პატიოსანი ადამიანი“. ლექსიკონი ლამაზად არის გამოცემული, შიგ 20,000-მდე სიტყვაა მოთავსებული და გაგზავნით 2 მან. ჰღირს, როგორც წინასიტყვაობიდგანა სჩანს, ლექსიკონის შემდგენელთ უფრო ისინი ჰყოლიათ მხედველობაში, რომელთაც თავისი სამშობლო ენა არ იციან და უნდათ შეისწავლონ. ლექსიკონს წინ უძღვის მცირე სომხური გრამატიკა, რუსულს ენაზედ შედგენილი. კარგს იზამდნენ, რომ ქართულს ენაზედ გამოეცა ამ სტუდენტთა ამხანაგობას რომელიმე ნაწარმოები ასე ლამაზად, ასე გვარიანად და შაურიანს წიგნებზედ არ იხარჯებოდნენ ამოდ.

*** ბარის ოსები. ამ ხანად ჩვენკენ ხშირი წვიმებია, რომელიც ძალიან ხელს უშლის ხალხს ფეტვების მკასა და ლეწვას. ბარის ოსებში წელს თუმცა ყველაფერის მოსავალი რაღა�, მაგრამ მაინც სამინდის ყაანფებს არა გუკედა-რა, პირიქით, თანდათან ძვირდება, ასე გასინჯეთ, პურზედ ძვირადაც-კი ჰფასობს. ხორბალი პური აქეთ იყიდება მერკა ექვს აბაზად, სიმინდი-კი ექვს უზალთუნადად და შვიდ აბაზად. ბარის ოსებში ამ ჟამად გავრცელებულია ყმაწვილების ავადმყოფობა—მუცელა. თერგის გაღმა მხარეს სამხრეთისკენ, ზოგიერთს სოფელშიაც საქონლის ჭირი მძვინვარებს, მაგალითებრ: სალუგარდანში, ნოგოუ-რუხში და სხვ. ამიტომ ბარის ოსების სოფლებიდგან, რომელთაც ხარები მამისონის მთებში ჰყავთ საზაფხულო საძოვრად, როგორც გავიგეთ, მთავრობა გიორგობისთვემდე საქონლის პატრონებს ჩამორეკის წინას არ აძლევს, რადგანაც საქონელმა სალუგარდანში უნდა ჩამოიაროს და შეიძლება ჭირი გადაედოს.

*** სო. სეშელგა (კავკავის მაზრა). 18 ამ თთვეს ვიღაც ბოროტ-მოქმედმა ტაცსდა წაუყვანა სეშელგაში მცხოვრების ასლამირზა ძოიევის ძნებს და მთელი წლევანდელის წლის მოსავალი სულ ერთიანად გადაუბუგა. დამნაშავე ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** ბარის ოსეთი. ამას წინად ერთი სოფ. ყადგარონელი ოსი წავიდა ქიშ—ფელში სტუმრად. ეს ოსი და მისი მასპინძელი ქისტი შესხდნენ ცხენებზედ და გასწიეს გროზნისკენ. თუმცა ნუ იტყვით, ამ ქისტს მასპინძელს გადაკიდებული ჰყოლია თავისი მეზობელი ქისტი, რომელიც გზაში ჩასაფრებოდათ. გაიარეს თუ არა ოსმა და მისმა მასპინძელმა, აჩუქა ბერდანის თოფმა ჩასაფრებულ ქისტისამ და ცხენიდგან გაგდოთაგდო მასპინძელი ქისტი. ოსმა ეს რომ ჰნახა, თავისის მასპინძლის მკვლელს გამოუდგა ცხენდაცხენ, დაუწყო რევოლვერის სროლა და კიდეც დასჭრა. ამ ოსსაც მოუბრუნდა ქისტი, ესროლა ბერდანის თოფი და ოსიც გადმოაგდო ცხენიდგან. ქისტებში, მტერი მტერს ხშირად მოჰკლავს ხოლმე, მაგრამ სტუმრის მოკვლა-კი დიდი სირცხვილია, რაც უნდა დაამავოს სტუმარმა (ქისტის სოფელში ერთს მოსახლეს რომ სტუმარი ეწვიოს, ყველანი თავისს სტუმრად სთვლიან). ამიტომ თელმა საზოგადოებამ იმ ოსის მკვლელს ქისტს განაჩენი შეუდგინეს და სახოგეს მთავრობას, რომ თავისის ცოლ-შვილით გადაასახლეს ციმბირშია, რადგანაც ჩვენი სტუმარი მოჰკლა, ჩვენი ჩვეულება დაარღვია და მთელი საქისტეთი შეგვარცხვინაო.

*** სოფ. ჯეთი (ოზურგეთის მაზრა). არ იქნა, აკეთა ვერ მოისვენა. 21 ამ თთვისას სრულიად მოულოდნელად ჩვენს სოფელში კიდევ ორი ყაჩაღი აღმოჩნდა. რაღაც სულ სხვა მინდობილობით, ბ-ნ მაზრის უფროსის მიერ საეკვო კაცების დასაჩხრეკად ერთი ბოქაულთგანი იყო აკეთში გამოგზავნილი; საღამო ხანს ბ-ნი ბოქაული ორის ყაზახითა და მამასახლის-მწერლით მივიდა აზ. დათუნაიშვილისას. აქ თურმე კარგა ხანია, რაც ორი ფირალი ინახავდა თავს. იმთ რომ დაინახეს ბოქაული, ეგონათ, ეს არის, ჩვენს დასაპერად მოდიანო და მაშინვე მოჰკურცხლეს. ერთმა თოფი წაიღო, მეორემ-კი მხოლოდ დანა გაიტაცა. ბოქაული ამ ამბით სრულიად გაკვირვებული დარჩა და კარგა ხანს ვერ მოვიდა გონს. შემდეგ-კი გაადევნეს კაცები, მაგრამ ვინ იცის, საით გადიფურცლნენ. სახლი რომ გაჩხრიკეს, რამდენიმე ასი თოფის გული იპოვნეს, საფრარლო ტანისამოსი და სხვა საეკვო ნივთები. როცა ეს ამბავი მოხდა, თვით მასპინძელი აზ. ტარიელ დათუნაშვილი ოზურგეთში იყო, გზაზედ შეიტყო ეს ამბავი და ვინ იცის, ისიც საითკენ გადიმალა. ის ყაჩაღები ამდენს ხანს მოჯამაგირის სახელით იყვნენ თურმე იმისას. ხალხი დიდს შიშშია ჩავარდნილი, ამბობენ, ტარიელიც თუ გავარდა, ის უარესს ფირალობას იზამსო. ეხლა მაზრის უფროსი ჩამოვიდა, საქმეს იძიებს და ვნახოთ, რას აღმოაჩენს. როგორც ამბობენ, ის ფირალები ლეკები უნდა იყვნენო. საკვირველია, ღმერთმანი, მამასახლისის უყურადღებობა: რატომ არ გამოიკითხავს სოფელში უბილეთო კაცებს.

*** 27 ამ თთვეს, სიღამის 5 საათზედ, პოლიციის მე-5 ნაწილში, ფომინის ქუჩაზე, მიმრზოევის სახლში უეცრივ გარდაიცვალა სამსახურიდამ დათხოვნილი ჯარის კაცი ნიკოლოზ პროკოფიევი. მიცვალებულის გვამი საანტამოო სადგომში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს, საღამოს 8 საათზე, პოლიციის მე-4 ნაწილში, თავ. ბებუთოვის სახლში, კოლექსეი სოვეტნიკს თავ. ჰავლე მიხეილის ძის მამატოვის სადგომში სამზარეულო კარები ქურდებს გაუტეხიათ და გაუტანიათ: თთრული შალი და წმ. სტანისლავის ორდენი მე-2 ხარისხისა, სულ 125 მან. ღირებული. პოლიცია ქურდებს დაეძებს. საქმე გამოძიებაშია.

ᲐᲠᲩᲘᲚᲣᲠᲘ, ᲨᲕᲘᲓ-ᲗᲐᲕᲘ

(საამდროო ამიკანები)

—

ᲭᲘᲠᲘ და ლხინის ტალ-კვეში ქართველისათვის ლექსია,
ᲐᲛᲘᲗ მოსთქვამს და მოიოლხენს—ეს მისი ყოფის წესია;
ᲚᲐᲛᲠᲐᲓ მგზებარე ტალანტი ამ კაცში ცას უთესია,
ᲐᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲔᲚᲐᲡᲖᲔ არავის უდარესია,
ᲓᲠᲝ შეხამებით მოლექსე, საერო გრძნობის მკვნესია;
ᲘᲛᲔᲠᲘᲐ სევდა-რეულად, სავანი წმინდა, ზესია,
ᲓᲐᲓᲣᲛᲓᲐ უცეტ, გავკვირდით, ვსთქვით, რა ჰქმნა, რა წაესია,
ᲔᲨᲕᲘᲐ სენი მოშლისა, თუ აწ სთქვას უკეთესია:

ᲚᲐᲛᲐᲖᲘ, ᲢᲣᲠᲤᲐ ᲨᲐᲘᲠᲘ, ᲮᲝᲛ ᲮᲜᲘᲗᲐᲪ აწ უბრძნესია?
ᲘᲢᲧᲕᲘᲡ, ᲕᲔᲚᲝᲛᲔᲓᲔᲗ: ᲞᲝᲢᲘᲡ ᲮᲝᲛ ᲒᲣᲚᲘ თავს უმძლესია.

ᲓᲐᲑᲐ Დ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

(მოწერილი ამბავი)

ᲡᲝᲤ. ᲐᲚᲐᲛᲑᲐᲠᲘ. (ბათუმის ოლქი), 13 აგვისტო. ქართველს მაჰმადიანებს თავიანთი თავი დიდად ობლად მიაჩნიათ და სულ იმას დარდობენ, ჩვენ დიდი კაცები არა გვყანანო. ჩვენი დიდი კაცები ომს შემდეგ ოსმალეთში გადასახლდნენ და ჩვენ-კი აქ ობლათ დავგტოვესო. ოსმალეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიან დიდ-კაცებისა და ფაშების შესახებაც ხშირად საუბრობენ, სადაც-კი შეხვდებით, ყავახანაში, სადმე სავაჭროსა, ჯამესა, მედრესესა თუ სხვაგან, ყველგან ამას ამბობენ, რომ: ეჰ, ჯანუმ, ჩვენი დიდი კაცები სხვაგან სცხოვრობენ და გინდ რომ აქ იყვნენ, მაინც დღეს ისინი ჩვენ ველარ გამოგვადგებოდნენო, იმიტომ-რომ დღეს აქ რუსული ენა არის საჭირო და იმათ-კი რუსულის ლაპარაკისა სიტყვაც არ იციანო.

აი რამდენიმე ცნობა იმ ქართველ მაჰმადიანთ ფაშების შესახებ, რომელნიც დღევანდლამდე ოსმალეთში სცხოვრობენ ᲦᲐ კარგი საპატიო თანამდებობა უჭირავს. იქ ბევრმა მათგანმა ქართული წერა-კითხვაც იცის და ოსმალეთიდამ საქართველოში თავისს ნათესავებს წერილებს ქართულადა სწერს. ასეთ ფაშებისაგან მოწერილს წერილს აქ ხშირად შეხვდებით სხვადა-სხვა ოჯახში.

1, ოსმან ფაშა, გვარად თავდგირიძე. ძველის ქართველ თავდგირიძეების თავდგირიძიანთ შთამომავალია, ქართულის ენის კარგად მცოდნე. ამასთან ქართული წერა-კითხვაც კარგად იცის და ცოტა ნათესავადაც მოჰხდება თ. გრ. გურიელს. დღეს ეს ფაშა ტრაპიზონის გუბერნატორია. ომის გათავების შემდეგ ეს ფაშა ტრაპიზონიდგან წერილებს სწერდა ქართველს მაჰმადიანებს და ურჩევდა, რომ საქართველოდგან ნუ აიყრებით, ეგ ქვეყანა ძვირფასი ქვეყანაა, თქვენის მამა-პაპის სამშობლოა; ნუ გადმოსახლდებით აქეთ, თორემ ბოლოს ინანებთო. ჩვენ ნუ გვიყურებთ, ჩვენ ფაშები ვართ, ჩვენ დიდს ჯამაგირებს გვაძლევენ და ამიტომ წამოველით აქეთ, თორემ თქვენსავით რომ ვიყოთ, მაშინ ფეხსაც არ მოვიცვლიდით მანდედანო. ყოველთვის ამ აზრისა იყო ეს ფაშა, მაგრამ ბევრმა იმათი სიტყვა არ დაიჯერეს დაიწყეს გადასახლება ოსმალეთში და ბოლოს ოსმან-ფაშას სიტყვაც გაუმართლდათ, მაგრამ რაღას იზამდნენ, გვიან-ღა იყო. ოსმალ ფაშას-კი სადაც-კი უნახავს ეს გადასახლებულნი ოსმალეთში, ყველგან და ყოველთვის დიდი საყვედური უთქვამს, რად გადახვედით ჩემს რჩევასაო.

2, ალი ფაშა თავდგირიძე. ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა კარგად იცის. ამისგან ქართულად მოწერილი წერილები აქ ბევრსა აქვს. დღეს ეს ფაშა სტამბოლში სცხოვრობს. ომიანობის დროს ამ ფაშას ღალატს სწამებდნენ, ამიტომ ალი ფაშასა და ამ ფაშის ბათუმში დროებით მყოფს ოსმალეთის უფროსს სამხედრო მინისტრს დერვიშ-ფაშას ჩხუბი მოუვიდათ და საჩივარიც ასტეხეს. გამოჩენილსა და დიდად ცნობილს ალი-ფაშას ვითომც და ღალატის გამო ხალხმა შემდეგი ლექსი გამოუთქვა, რომელსაც კარგად ჰმღერიან ქართველი მაჰმადიანები. ალი ფაშა დღეს მთელს ოსმალეთს და მაჰმადიანს ქართველებში დიდად ცნობილი კაცია. აი ლექსი:

„ᲭᲕᲘᲜᲗᲐᲭᲐᲠᲘ და რუსი ჩხუბობს,
იგი არის ორივეში,
ალი ფაშამ ვეღალატა,
აგვიყვანა კვირიკეში.
მან რომ ფულები აიღო,
ჩვენ დავგტია რუსის ხელში...
კაი რომ არ დამართია,
ᲑᲐᲠᲘᲗ ᲩᲐᲐᲠᲘᲘᲗ ᲒᲔᲛᲘᲗ;
მისი ყვარილი გვესმოდა
ᲡᲣᲤᲡᲐᲗᲐ ᲒᲐᲒᲛᲐ ᲑᲐᲘᲚᲘᲗᲘᲗ“.

ამ ლექსში მოხსენებულს სოფ. კვირიკეში ომის წინად 160 კომლი მცხოვრები ყოფილა. აქაურის ქართველ ხოჯის სიტყვით, დღეს-კი აქ მხოლოდ 23 კომლი სცხოვრებს, დანარჩენნი ოსმალეთში გადასახლებულან.

დერვიშ ფაშა ალი ფაშას ეუბნებოდა, რომ თქვენ ქართველები ხართ

სონ, იძულებულია უნდა მისცეს.

ყოველს წელაწადს უწურაში დარჩება არა ნაკლებ 1500 მანეთისა და ნუ თუ ადგილობრივი ადმინისტრაცია მეტს ყურადღებას არ უნდა აქცევდეს მოაგარაკეთა მდგომარეობას. ჩვენში ზოგიერთს დაბასაც არა აქვს წელიწადში ამაზედ მეტი შემოსავალი, მაგრამ იქ ფარნებსაც ჰნახავთ დადგმულს, ღამის დარაჯებსაც დაყენებულს და ყოველგვარ ხორაგეულობის ნიხრსაც გამოკრულს. ეუწურა-კი ყოველსაე ამას მოკლებულია.

სადაც მოაგარაკეთა სადგომი ბინებია, იქვე რკინის წყლის აბანოებია გამართული. ეს აბანოები ისე ბინძურად და მოუხერხებლად არის მოწყობილი, რომ შესვლა შეგეზარებათ. ბნელსა და ნოტიო ქვიტკირის ოთახში სდგას ნამდვილ კუბოს მსგავსი ხის როფი, ისეთი ვიწრო და უმსგავსო, რომ თუ პატარა მომსხო ადამიანი იქმნა, ტანსაც ვერ დაისვეღებს, როფში ვერ ჩაეტევა და ამ გვარად ნაწვალებს აბანოში ორ აბაზსკი ახდევინებენ. წყლიდამ ამოსვლის შემდეგ უბრალო წმინდა ფიცარს ვერ იშოვნით, რომ ფეხი სუფთად დაადგათ და ტანისამოსი ისე ჩაიცვათ. ამასთან თუ პატარა დაიგვიანეთ, შიგ გინდ ქალები იყვნენ და გინდ კაცები, აბანოს მეპატრონე კარებს აღებს და ამდენს ხალხს აყურებინებს. ისა ვინღა დაეძებს, რომ თქვენს ნებაზედ ელარსებოდეთ ბანებას. ღიღას დაკვეთილს როფს სალამოს გაღირსებენ და იმასაც ისეთის დამაღლებით, თითქოს აბანოს პატრონს თქვენთვის ეჩუქებინოს რამეო. მეაბანოები ისეთი ჯიუტნი, უხრდელნი და მოურიდებელნი არიან, რომ თუ მაგარის ხასიათისა არა ბრძანდებით, მოთბინებიდგან გამოგიყვანებენ და ჩხუბს დაგაწყებინებენ.

სწორედ ამ ადგილას და ამ აბანოების მიზეზით მოხდა ზარშან მკვლელობა. აზნ. კორძაიამ მოჰკლა ამ აბანოს პატრონი მეტრეველი. ამას წინად კიდევ კინაღამ იმისი შვილიც არ მოჰკლეს უზრდელობისათვის. მეაბანოები ისეთი გათამამებულნი არიან, რომ სულ უბრალო სიტყვა ხუთ—ექვსს კაცს შეაგროვებს უეცრივ, საჩხუბრად დამზადებულს.

ჩვენს იქ ყოფნაში რაჰაში ორი კაცი მოჰკლეს. ერთის მკვლელი თითონვე მივიდა სატუსალოში და მეორე-კი დღესაც მთებშია გავარდნილი. აქ ამ გვარი შემთხვევა იშვიათი არა ყოფილა და მოდი ნუ შეგეშინდებათ ამ უხამსის მეაბანოებისა.

ექიმი წელს თუმცა არის უწურაში, მაგრამ ისიც შემთხვევით მოსულა, რადგან ნიადაგ დ. ონში სცხოვრობს და ზაფხულობითაც არ არის ვალდებული უწურაში იცხოვროს. და ან-კი რად გვინდა ექიმი უაფთიაქოდ. აფთიაქი დ. ონშია, სადაც გზები ცუდის ამინდების გამო ხანდისხან ორის კვირობით შეიკვრება ხოლმე და 26 ვერსი უნდა გაიაროს ბიუმა, რომ წამალი მოაშველოს ავადმყოფს. რა იქნება, რომ ონის აფთიაქის პატრონმა აქ ორის თვით იქონიოს გაყოფილება და ამით შეღავათი და შეკლა მისცეს აქაურ მოგარაკეთ. ჩვენს იქ ყოფნაში თ. ლ. ჩიჩუას მეულლე გახდა ავად ფილტვების ანთებით და რადგან ექიმმა საჭირო წამლები დროზე ვერ იშოვნა, ონიდგან წამლის მოტანამდე ავადმყოფმა სული განუტევა. მისი თუ სულ მორჩენა არა, დროებითი სიცოცხლე მაინც შეიძლებოდა, ექიმის მოსვლამდე აქვე ახლოს აფთიაქი რომ ყოფილიყო, მაგრამ სად უწერა და სად ამ გვარი სიკეთე?!

უწურაში წელს თუმც ნიადაგ სცოხვრებს აღმინისტრაციის წარმომადგენელი, მაგრამ ქურდობასა და ღამე სახლის ბანებზედ ქვების სროლას მაინც არ მოელო ბოლო. ჩვენს იქ ყოფნისას ერთის თვეის განმავლობაში, ვის რევოლვერი მოჰპარეს, ვის შალვარ-ხალათი, ქალის ტანისამოსი და ცხვირ სახოცები და ვის ბალიტო-ნაბადი, ანგარიში არ ჰქონდა. ღამე აივანში დატოვებული კოკა, ჩექმები და დოქებიც-კი მოგვპარეს, მაგრამ ვინ იცის, ვინ ჰბრძანდებიან ეს ღამის რაინდები. ერთს ღამეს ორი რევოლვერის ტყვია მიაჯედეს ურიების სადგომის კარებს, მაგრამ ესენიც ქვას ქვეშ მიიმალნენ და არავინ იცის, სად გაჰქრნენ ავაზაკები...

—

ამ სადგომებიდგან მყავე წყლების დასალევ ადგილამდე სულ ნახევარი ვერსი იქნება, მაგრამ გზა, რომელიც მიდის ამ ადგილებამდე, ვიწრო და საცალფეხოა და, როგორც ეტყობა, ახლად შეკეთებულია ამ წყლების პატრონის ბ-ნ გამყრელიძისაგან (მასწავლებელია ტფილისის გიმნაზიისა). წარსულს წლებს უფრო ცუდი გზები ყოფილა და წყლები სრულიად მოუწყობელი. დღეს ბ-ნს გამყრელიძს პატარა ქოხი გადუდგამს ამ წყლებზედ და ერთს მილში თავმოყრილი წყალი ისე ზანტად გადმოსწვეთს, რომ ძნელად თუ ერთს წამს ორ-სამს ჭიქას გაავსებს. იქვე ადგილიც გაუსწორებია და ზედ ცოტა მოზრდილი ჩარდახი გადაუდგამს.

ამ წყლების სასმელად ყველას თავთავისი ჭიქა უნდა ჰქონოდა, მაგრამ დღეს მეპატრონეს თავისი ხარჯით თუნუქის ჭიქები გამოუწერია და იმით სთავაზობს ხალხს წყალს, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩვენი ღალატი გინდათო, რუსებისაკენ გადახვალთ და გვიღალატებთო, მაგრამ მე კაი დროს მოგასწარითო. ალი-ფაშა, რასაკვირველია, წინააღმდეგს ამბობდა. ომის გათავების შემდეგ ალი-ფაშამ ნიშნად თავის ერთგულებისა და სამსახურისა სულთანის წინაშე საქართველოდგან ოსმალეთში გადასახლა შვიდი ათასი კომლი, რომლებიც აფრიკისკენ იქმნენ გადაკარგული და დასახლებული. ალი-ფაშა, როგორც თავდგრიძეს გვართაგანი, ნათესავი იყო გრ. გურიელისა. ამიტომ გრ. გურიელი ბევრს ეხვეწებოდა თავისს ნათესავს: ალი-ფაშავ, შენ თუ მიხვალ, წადი ოსმალეთში, და ამ ხალხს ნუ აგულიანებო, მაგრამ ალი-ფაშა უარს ეუბნებოდა. როგორც ამბობენ აქაური მოსმახდიანები, ამ კაცს ბევრი ცოდვა მიუძღვის იმ ქართველების წინაშე, რომლებიც საქართველოდგან ოსმალეთს გადასახლებულან. ამ გადასახლებულთა უმეტესი ნაწილი იქვე გაწყვეტილა. ალი-ფაშას-კი ჭშველებია, სულთანისაგან მადლობა და საჩუქარიც მიუღია.

3, რამაზ-ფაშა დუმბაძე, მოხუცებული კაცია. 1855 წ. ომებში გაუთქვამს სახელი. ქართული წერა-კითხვა იცის.

4, ფერსად-ფაშა მაჟავარიანი, ქართულის ენისა და წერა-კითხვის კარგად მცოდნეა.

5, მეჰმედ-ფაშა შავიძე, ქართულის ენისა და მწიგნობრობის მოყვარე.

6, ჰასან-ფაშა თავდგირიძე, ქართულის ენისა და წიგნის მცოდნე.

7, ჯემილ-ფაშა ყანთელიძე, ქართველების მოყვარული და კარგად მცოდნე ქართულის ენისა.

8, რამიზ-ფაშა } ძმანი დუმბაძეები.
9, ხამიდ-ფაშა }
10, რეშიდ-ფაშა }

11, ვასილ-ფაშა დუმბაძე, შვილი რეშიდ-ფაშასი. ქრისტიანული სახელი ვასილი თავის მამის სიყვარულის გამო დაურქმევია, რადგანაც მისი მამა ქრისტიანი ყოფილა და ვასილი რქმევია.

12, ხოსროვ-ფაშა ერისთავი, დიდი მინისტრი. ეს ფაშა ერთს დროს ინგლისში ოსმალეთის ელჩადაც ყოფილა. იცის ქართული ენა, თათრული, ფრანგული, ინგლისური და სხვანი. განათლება ევროპიული აქვს

მიღებული. საქართველოს შესახებ ფრანგულს ენაზედ კითხულობს წიგნებს.

13, მამუდ-ნემიდ-ფაშა ანთელიძე.

14, ხახამ-ფერი-ფაშა აბარელი, სოფელ ბორჩხელი. ევროპიულად განათლებულია და ევროპის ბევრს სახელმწიფოში ელჩად ყოფილა. ქართული ენა კარგად იცის.

15, დედე-ფაშა აბარელი, სოფელ ქედელი, ქართულის ენის კარგად მცოდნე.

16, შაქირ-ფაშა ხიმშიაშვილი, ქართველების მოყვარული და კარგად მცოდნე ქართულის ენისა და მწერლობისა.

17, ქამილ-ფაშა ხიმშიაშვილი. მცოდნე ქართულის ენისა. ეს ფაშა ბევრს იღვწოდა ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ.

18, სელიმ-ფაშა ცეცხლაძე, ქართულის ენის კარგად მცოდნე.

19, მემედ-ფაშა გუბჯაძე, ქართულის ენისა და წერა-კითხვის მცოდნე; აფრიკის უფროსი.

20, მეჰმედ-ფაშა ვახვახიშვილი, ადრიანაპოლის გენერალ-გუბერნატორი. ამის შესახებ ერთს დროს ადრიანაპოლიდგან „ივერია“-შიაც სწერდნენ. მცოდნეა ქართულის ენისა და მწიგნობრობისა.

21, მუსა-ფაშა ხუნდაძე.

22, ბერი-ფაშა თავდგირიძე, მაკედონიისა და ალბანიის მთავარ-სარდალი; ქართულის ენის კარგად მცოდნე.

ეს ფაშები სცხოვრობენ ოსმალეთის სახელმწიფოში და დიდი ადგილებიც უჭირავთ. ამათი მნახველი ქართველი მაჰმადიანები ამბობენ, რომ საქართველო დიდად უყვართო. ჩვენს კაცს რომ ჰნახავენ ოსმალეთში, აღარ იციან, რა ჰქმნან და ყველას ამას გვკითხავენ, რუსის ხელში როგორ სცხოვრობთო? ჩვენს კაცს ესენი დიდს პატივს სცემენო და ზოგიერთი სულ იმ რჩევას იძლევა, რომ მაჰმადიანს ხოჯებსა და მოლებს ნურაფერს დაუჯერებთ და აქეთ ნუ გადმოსახლდებთ, თქვენი ქვეყანა ბევრად სჯობია ოსმალეთსაო.

ხ. ჯ.

დღეში შაური ღირს. აი, ამ „წყლების ანალიზი“ Въ 10,000 части воды: углек. кальц. 14,14, углек. магн. 1,83 и двууглекис. желѣза 0,99; Всего твердыхъ вещест. 16,96.“ *)

ეს წყალი ძალიან უხდება უმეტესად კუჭით ავადმყოფს. მაგრამ კაცმა არ იცის, რამდენი ჭიქა უნდა დალიოს დღეში. თუმცა წელს ექიმი ურჩევდა დღეში არა უმეტეს ექვსის ჭიქის დალევას, მაგრამ ექიმს ვინ უჯერებდა. ზოგი ოცს ჭიქას სვამდა დღეში და ზოგი მეტსაც. ზოგიერთს თან მარილიანი ყველი მოჰქონდა და ამას შეეტკეცცდნენ, რომ უფრო მოსწყურებოდათ და მეტი წყალი დაელიათ. ყველა თავ-თავისი ექიმია აქ და არავის არაფერს უჯერებს. თუმცა ბ-ნს გამყრელიძეს კარგი საქმე უქნია, მაგრამ კიდევ უფრო კარგად მოიქცეოდა, რომ შემდეგისთვის უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევდეს შემდეგს ნაკლულევანებას, რომელთა შეცსებაც მათთვის საძნელო საქმეს არ შეადგენს: ა) ჭიქები, რომლითაც, ვინ იცის, რა გვარი ადამიანი და რანაირი ავადმყოფები სვამენ მეავე წყალს, არ ირეცხება და ერთი და იგივე ჭუჭლით სმა შეიძლება ყველასთვის არ იყოს სასიამოვნო. ბ-ნი გამყრელიძე თუ ისურვებს, შეუძლია იქვე გვერდზედ გამოიყვანოს ის წყალი, რომელსაც თავის ტკივილის წამლად ჰხმარობენ, ერთი პატარა ბიჭი იქაც მიუჩინოს და ყოველ დაცლის შემდეგ ჭიქები გამორეცხოს და ისე ასვას საზოგადოებას ეს წყალი.

ბ) ჟურნალ-გაზეთების უქონლობა დიდად საგრძნობელს ნაკლს შეადგენს მთელს უწერაში. ისე გავა მთელი სეზონი, რომ ჟურნალ-გაზეთების თვალ-ყურის დევნებას მოკლებულნი ხართ და ქვეყნისა არაფერი არ იცით, თუ დრო გამოშვებით ქუთაისიდგან მოსული მეეტლეები არას გვიამბობენ. მადლობის ღირსია ბ-ნი გამყრელიძე, რომელსაც დრო გამოშვებით მოჰქონდა ჩვენთან „Новое Обозр.“-ის ნომერები, მაგრამ კიდევ უფრო მადლობის ღირსი იქნება, ამ ორის თვითი განგებ ამ წყლებისთვის გამიწერდეს ადგილობრივს ქართულ-რუსულს გაზეთებს, განსაკუთრებით ქართულს, რადგან აქაური საზოგადოება უმეტეს ნაწილად ქართველობაა და ზოგიერთმა რუსული კითხვაც-კი არ იცის. ამას იმდენი ხარჯი არ დასჭირდება, რამდენს სარგებლობასა და სიამოვნებასაც მოუტანს აქ მოსულს საზოგადოებას. ამასთან რომ სთხოვოს აქაურს მაზრის უფროსს, ის მამასახლისს უბრძანებს და ყოველთვის, როგორც მოვა ფოსტა ონში, იმ წამსვე უწერაში გაგზავნინან; გ) არც ის იქნება ცუდი, რომ ბ. გამყრელიძემ ეს წყალი ნასწავლს კაცებს გაარჩევინოს, დაწვრილებით ქართულსა და რუსულს ენაზედ პატარ-პატარა წიგნაკები დაიწერინოს, დაბეჭდვინოს და იქონიოს აქ გასასყიდლად. ამ წიგნაკებში მოკლედ და გარკვევით უნდა იყოს ნაჩვენები, თუ როგორ უნდა სვას წყალი ადამიანმა, ან რა და რა ავადმყოფობას შველის ეს მეაე წყლები. ასეთი წიგნაკები ბევრიც გაიყიდება და სასარგებლოც იქნება საზოგადოებისათვის. დანარჩენს ნაკლს თავადაც მიხმენდა ბ-ნი გამყრელიძე და ადგილადაც აიცილებს საზოგადოებას თავიდგან. მეავე წყლები ისეთს ბრეკჩია, რომ გასაელელი გზა არსად არის და ამ წყლის დალევის შემდეგ-კი სიარული და საზოგადოდ მოძრაობაა საჭირო. კარგი იქნება, რომ რამდენიმე გზა და ვაკე გაკეთდეს.

წარმოიდგინეთ პატარა ბრეკი, რომლიდგანაც გამოწინწკლობს და გამოწვეთწვეთობს ეს უკვდავების წყარო და იქვე მისული ჭიქებით ხელში მწყურვალე ხალხი, და უნებლიედ გაგახსენდებათ დავით გურამიშვილის სიტყვები:

„მოდი, მსმენელო! ისმინე, ძმაშვილო,
ვიტყვი სუ რასა,
უკვდავებისა წყაროთ მოგიბრიმეკ სავსესა
სურასა...“

ხალხი ისეთის ხალისით ეტანება ამ წყალს, რომ მართლადა უკვდავების წყაროო ეგონება პირველად მნახველს. თუ ვინმე მოდის რაჭაში, მარტო ამ წყლებისათვის და წმინდა, გრილის ჰაერისთვის მოდის. ჰაერი აქ მართლაც რომ მდიდარია და გრილი, რადგან ჩრდილოეთით ისეთი მთები გადმოსჩერებია უწერას, რომელიც მუდამ ყინულით არის დაფარული და ეს ცივი მთები იმდენად აგრილებს აქაურს ჰაერს, რომ მთელს ივლისის თთვეში 15° R-ზედ მეტი სიცხე არ გვინახავს და წვიმების დროს-კი 10°-კი იყო.

დასასრულ სულით და გულით ვისურვებ, რომ უწერის მადნის წყლები გაუფჯობესებულიყოს, მისს მკვიდრს მცხოვრებლებს მეტი ხათრი და სტუმართ-მოყვარეობის გრძნობა გამოეჩინოთ და ადგლობრივი ადმინისტრაცია უფრო მზრუნველობით მოჰკიდებოდეს აქაურს მოაგარაკეთა მდგომარეობას, რითაც ხალხიც ისარგებლებს და შორიდგან მოსული საზოგადოებაც მადლობელი დარჩება.

თეოფ. ხუსკივაძე

სოფ. უწერა (რაჭის მაზრა)
ივლ. 29.

*) *Кавказскій Календарь, 1891 г.*

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საყურადღებო ამბავია დაბეჭდილი გაზ. „Новое Время“-ში სპარსეთში არზრუმიდგან გადასახლებული სომეხთა შესახებ. მოგვაცვს ეს ამბავი მეუმოკლესლივ:

როგორც ვუწყოთ, ზარზანუელმა არზრუმის უწყისოებამ, ოსმალთა და სომეხთა შორის მომხდარმა, ოსმალეთის მთავრობა იძულებულ ჰყო 9,000-მდე სომეხი გაეგზავნა სპარსეთის საზღვრებში. ეს სომეხები სპარსეთის დიდს ქალაქებს მოეფდნენ, ხალო უმეტესობა-კი ისპაანს მოვიდა. აქაურმა გენერალ-გუბერნატორმა, შაჰის შვილმა, პრინცმა ზიაული-სულთანმა, დიდის თანაგრძნობით მიიღო გადმოსახლებულნი და ისიც-კი ურჩია, რომ სამშედრო სამსახურში შემოდგომ ჩემთან, სომეხთა რაზმებში, რომელთაგანაც ორი ისპაანსაა. ჩაცდა, ფული დაურიგა, ჯარამებში დაბინავა და საზოგადოდ წესიერად მოუწყო სულ ყველას ცხოვრება. ყოველ ამისთვის ვერაფერი სამაგიერო გადაუხადეს სომეხებმა. განთავისუფლებულ სომეხთის ოცნებას თავი არ დაანებეს, აქაც მოიწადინეს მომხრეების პოვნა, რამდენისამე წერა-კითხვის მცოდნე სომხის წაყლობით „მამელის მოყვარეთა კომიტეტი“ შედგინეს და ეს კომიტეტიც მხნედ შეუდგა მიწერ-მოწერას სხვა ამისთანავე კომიტეტებთან, რომლებიც დაარსებულია თეირანსა, თავრიზსა და არზრუმში. ისპაანის მთავრობამ ეს ამბავი იცოდა ალბად, მაგრამ განსაკუთრებულს ყურადღებას არ აქცევდნენ, უმნიშვნელო ეგონათ, მაგრამ სომეხთა თვით-ნებობა-კი მეტად თავს გავიდა. ამას წინად აღმოჩნდა, რომ ჰრინცის თოფხანიდგან 400 ცალი იარაღი გაეტანათ: თოფი, დამბაჩა, ხანჯალი და სხვანი. დაუწყეს ძებნა ქურდებს და აღმოჩნდა, რომ ყოველივე სომხებს გაეტანათ, კომიტეტისათვის გადაეცათ ეს იარაღი და კომიტეტს კიდევ თავრიზში გაეგზავნა. დაუყოვნებლივ დაადევნეს მდევარი, გზაში მიეხწიეს და ისპაანსავე გამოაბრუნეს. თვით პრინცმა გამოიძია ეს საქმე, ისპაანიდგან 27 სომეხი გაგზავნეს თეირანში და ალუკრძალა, სიკვდილს მიგცემთ, თუ გაგიბედნიათ და ფეხი გადმოგიდგამთ ჩემს საგენერალ-გუბერნატორო-როშიო. არავინ იცის, რას უზამენ გაგზავნილს სომხებს თეირანში. ამ ამბავმა ცუდად იმოქმედა სხვა სომეხთა მდგომარეობაზედაც. ზიაული-სულთანმა სომეხთა უფალუბანი სხვა-და-სხვა გვარად შეამოქცა და შეზღუდა და, ამას გარდა, განზრახვაცა აქვთ, ორივე სომეხთა რაზმი ისე შესცვალონ, რომ, სულ სომეხები-კი არ იყვნენ, ნახევარი სპარსელი ჯარის-კაცი იყოს.

საბრალო სომხები ისე გულითარები, მაგრამ კიდევ უფრო ამ ორის თვითი ბრალია, ეს ამბავი ეგონა, ეს ამბავი ეგონა, ეს ამბავი ეგონა

ლობისათვის ძლიერ მავნე მღელვარებაში აგდებს მოსწავლეებს, ზოგჯერ მათს თავმოყვარეობას ფრთას ასხამს, ზოგჯერ-კი საშინლად აღონებს და საქმის იღბალზე შეგდებას აჩვევს. ყოველივე ეს აღზრდის საქმის სიმარტივეს არღვევს და არა სასურველს ელემენტს ურთავს.

„ფორმალური ვადის ეგზამენები თვით სწავლებასაც ბევრს უშლის: მასწავლებლები ხანდახან მხოლოდ იმასა ცდილობენ, რომ როგორმე საეგზამენოდ მოვამზადოთ ყმაწვილებიო და ამ სახით ფორმალურს მხარეს სწავლებისას უფრო მეტი ყურადღება ეძლევა, ვიდრე თვით სწავლების საგანს.

„მოხერხებული მასწავლებელს ყოველთვის შეუძლიან კარგად დაადგინოს და გიიგოს თავის შეგირდების გონებრივი მოწიფულობა არა მარტო ნაწყვეტ-ნაწყვეტ პასუხების მიხედვით, არამედ მიხედვით იმისა, თუ რამდენად შეუთვისნია მოსწავლეს ყოველი არსებითი მხარე სასწავლო საგნისა და რადენად გაუვარჯიშებია აზროვნობა. ამიტომ საჭიროა, რომ ვიდრე რომელსამე ნაწილს სასწავლო საგნისას სრულად დაამთავრებდნენ, მიუბრუნდნენ ხოლმე და მალიმალ იმეორონ უკვე ნასწავლი. ყმაწვილები ადვილად ითვისებენ სწავლას, მაგრამ ადვილადვე ივიწყებენ. ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ სამოსწავლო წლის პირველს მეოთხედს ყმაწვილებს ბლომად აქვთ ხოლმე სწავლის უხეირო ნიშნები. აი ამიტომაა საჭირო, განსაკუთრებით წლის დასაწყისში, რომ კარგა ხანს შეაჩეროს ხოლმე მასწავლებელმა ყმაწვილები შესასწავლ საგნის საფუძვლის შესწავლაზე, ურომლისოდაც შეუძლებელია საგნის შემდეგის ნაწილების შეგნებით შესწავლა. ხოლო შემდეგაც უნდა დაუბრუნდნენ და გაიმეორონ ხოლმე, თუ მოსწავლეებს შესწავლილის უცოდინარობა შეეტყოთ. თუ კლასში არ მოხერხდება ესა, მაშინ ან თვით მოსწავლეებს ან მათს მშობლებს უნდა აუხსნან და აჩვენონ, აი ესა-და-ეს გაკლია და უნდა დაუყოვნებლივ შეისწავლოთო.

„თუ ამ წესით იწარმოვა საქმე, მაშინ არა თუ წლის დამლევს, არამედ ყოველთვის კარგად ეცოდინება მასწავლებელს, რა იცის და რა არა თითოეულმა მისმა მოწაფემ. ამის გამო სრულიად საჭირო აღარ იქნება, რომ მოწაფენი მღელვარებდნენ ხოლმე ეგზამენების წინად და შეეძლებათ დამშვიდებითა და გულდადებით ნაყოფიერად იმუშაონ. ამით აღზრდის საქმეც განკარგდება: მოსწავლეები მოიშლიან იმ ჩვეულებას, რომ რისამე დასწავლა წლის დამლევისთვის გადასდონ, ვითომ მაშინ ერთბაშად შევუდგებით საქმეს და მოვასწრაბთ ყველაფრის შესწავლასაო. მშობლებიც აგრეთვე ყურადღებას მიაქცევენ, რომ მათმა შვილებმა მუდმივ იმუყაითონ თელის წლის განმავლობაში, არც ერთი კვირა ან თვეც არ მოსცდნენ და ცუდათობაში უნაყოფოდ არ გაატარონ.

„ვთხოვ ჩემდამი რწმუნებულს ოლქს იხელმძღვანელოს ყოველისავე ზემოხსენებულით ამ 1891 წ. 12 მარ. დამტკიცებულის კანონების § 36 ხმარების დროს.

წერილები რედაქციის მიმართ

თქვენს გაზეთში წელს, აგვისტოს 21-ს, იყო დაბეჭდილი: არტემ ხოჯა—ინატოვმა გამოაცხადა პოლიციაში, რომ იაკობ ურდილროვის ლუდხანაში მიხეილ ბეგიჯანოვმა ექცეთ თუმანი და რვა მანათი მომპარაო. მიხეილ ბეგიჯანოვი მეც გახლავართ და ამითი მეც მეცნობა ჩრჩილი. ამის გამო გთხოვთ, რომ გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში ჩემი სახელი, შამის სახელი და გვარი, რომ თავიდგან ეცეთ ამაცილოთ და მე არავის ვეგონო ის ქურდი.

მიხეილ ბეგანის ძე ბეგიჯანოვი

დეპეშა

27 აგვისტო

პეტერბურგი. ლაპარაკობენ, რაინის გზებით ნავთსადგურებში პურის გადასატანს გარდასახდს მოუმატებენო.

ბერლინი. აღლუმების გათავების შემდეგ ორმავე იმპერატორმა სიტყვა უთხრა აფიცრებს, დიდად აქებს ჯარები და განაცხადეს, რომ ავსტრიელი, ვენგრიელი და გერმანელი ჯარები ძმანი არიან იარაღითაო.

მიუნჰენი. ბურგომისტრის სიტყვის პასუხად იმპერატორმა ვილჰელმმა სთქვა, ვმადლობ ჩემს უავგუსტოს მოკავშირეთ, რომ ისინიც მხარს უჭერენ ჩემს შვიდობის მოყვარეობასაო.

რომი. დი-რუდინიმ დეპეშით აუწყა იტალიის დესპანს კონსტანტინოპოლში, დარდანელის საქმეში ისე მოიქეცი, როგორც ინგლისელი დესპანი, რადგან ამ ორ სახელმწიფოთა ინტერესი ერთგვარია ხმელეთა შუა ზღვაზეო.

პეტერბურგის ბირჟა, 27 აგვისტო

	მოდგმ ლის.	ბეგიდ ლის.	ბეგიდ ლის.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7, 68	7, 68	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	153	154	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1, 14	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	238
—მეორისა	— ,,	— ,,	229
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავადაზნაურთა ბანკის ფურცელი, . ,, , ,	212	— ,,	210½
გრარეგნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საერთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღეს 4 სასთზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეეფლის.

შაბათობით სოფლის 8 სასთზე შორის გზით (ეკვლა ნაკი-სადგურში შეეფლის).

კვირაობით, სოფლისთა, სიზიკარ-გარეო, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დიდთი-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეეფლის).

შაბათობით, დიდთი, სტამბოლიდამ. ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დიდის 9 სასთზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიის და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დიდის 9 სასთზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-�iზირიმისა და რუმელია ინტოლიასეულ ჭამსეულად გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკავ ფოთიდამ, ბათუმის სასაგანტო გადასწეულეტს სოდმე, რადის წაკა უკან.

ამის გარეს ეოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწეულეტლს კადაზე გემები.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

გამოვიდა და ისყიდება

პეტერბურგის ქართველ და სომეხ სტუდენტების მიერ გამოცემული

ᲡᲝᲛᲮᲣᲠ-ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

შედგენილი კ. იაღბუღიანცის მიერ.

წიგნი გაგზავნათ ᲔᲓᲔᲠᲘᲡ 2 მან. სოფლობა სასახლის ქუჩაზე, ბ-ნ ტერ-სარქისიანცის ქალაქდის მაღაზიაში.

(1—1)

„სიჯაბუკის ყოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თვაშვებული ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლოკენსისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—დის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამა სასარგებლო იგნში ბევრი საშალებაა დასახვლეტული ზემოხსენებული მანკის შედეგის ასცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიის). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	ᲛᲐ.	ᲙᲐ.
პატიოსანი ადამიანი . .	„	5
ლენტის მსგავსნი ქიეფი ი. თ.	„	5
მეფე დავით ალმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . .	„	40
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი.	„	30
სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა.	„	20
ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა	„	25
იქვე ისყიდება-**ᲗᲝᲜᲠᲘᲜᲘᲫᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ**, ისტორიული პოემა ჰაკკისა . .	1	„

საკომერციო კურსები

ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲘᲡᲗᲕᲘᲡ

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენ.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო კანონისა, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა სასაგარაშო ჩოთქით, 5) საკომერციო მაწერ-მოწერა, 6) საკალკრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფელ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფონდანოვისა, № 9, სერგეევისა და ნაკორნის ქუჩაზე, ალოთაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ჰ. მანუდანცს, ტფილისს. (24—94—14)

ᲞᲐᲢᲘᲕᲘ მაქვს ვაცნობო ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲡ საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მდებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წუალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

საბღებრო და ლაქის ამოსაყენი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მისეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—13) ქარხანის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲡ, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

ᲓᲐᲜᲘᲐ

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—17)

გამოვიდა და ისყიდება ქვემო მოხსენებულ პირებთან ერთ წიგნში მოთავსებული ქართული პიესები.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲔᲡᲔᲑᲘ

თხზულება

ᲐᲚᲐᲚᲣ ᲗᲣᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐ.

ამ იგნში შემდეგი პიესებია მოთავსებული:

„**ᲣᲨᲜᲝ ᲐᲠᲨᲘᲣᲘ**“, კომედია სამ მოქმედებად.

„**ᲡᲝᲤᲘᲝ**“, ვოდევილი ერთ მოქმედებად.

„**ᲓᲣᲭᲜᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ**“, სცენა ქალაქის ცხოვრებიდამ.

ტფილისში—„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში, წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში, გრიქურეოვის წიგნის მაღაზიაში. და თვით ავტორთანსა კუთარს მაღაზიაში

კავკავში—ი. ტერტეროვთან.

ველისციხეში—მ. ქალანთაროვთან.

სიღნაღში—კ. ნადიროვთან.

თელავში—მამა აბელ სუქანცთან.

გორში—სოფრომ მგალობლიშვილთან.

ცხინვალში—ი. მელქუეოვთან.

„ თ. კ. მ. ციციანოვთან.

სურამში—ზ. არუზოვთან.

ყვირილაში—თ. ხუსკოვაძესთან.

ქუთაისს—ძმ. ქილაძეებისა და ძმ. წერეთელ. წიგნის მაღაზიაში.

ხონში—ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალსენაკში—ი. ჯიჯიხიასთან.

ბათუმში—მ. ნიკოლაძის საგენტოში.

ფოთში—ნოდიას წიგნის მაღაზიაში.

სოხუმში—ან. ჯუღელთან.

ფასი. 30 კაპ.

15—15

Дозв. ценз. Тифлисъ, 28-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ᲒᲠ. ᲧᲘᲨᲨᲘᲫᲔ გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.